

საერთაშორისო ფოტოკონკურსი „ილო - 2025“ დებულება

1. ზოგადი დებულებები:

- 1.1 ფოტოკონკურსის ორგანიზატორია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.
- 1.2 ფოტოკონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სრულწლოვან ფიზიკურ პირებს - პროფესიონალ და მოყვარულ ფოტოგრაფებს, რომელთათვისაც სავალდებულოა კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება.
- 1.3 ფოტოკონკურსში მონაწილეობისათვის არ დაიშვებიან ავტორთა კოლექტივები, ფოტოსტუდიები, რედაქციები, ასევე სხვა გაერთიანებები და ორგანიზაციები.
- 1.4 ფოტოკონკურსში მონაწილეობა ნიშნავს ავტორის თანხმობას, გამოყენებულ იქნას მისი ნამუშევარი არაკომერციული მიზნებისთვის, მეთოდურ და საინფორმაციო გამოცემებში, კატალოგებში, ბუკლეტებსა და ფოტოგამოფენებში.
- 1.5 ფოტოკონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი კონკურსანტის მონაწილეობის შემთხვევაში.
- 1.6 საკონკურსო ფოტო გადაღებული უნდა იყოს ფესტივალის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 წლისა.
- 1.7 ფოტოკონკურსის ჩატარების ადგილი - ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, რუსთაველის გამზირი №3

2. ფოტოკონკურსის მიზანი:

ფოტოკონკურსის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ფოტოგრაფები (მოყვარულები და პროფესიონალები) და ხელი შეუწყოს ქუთაისში ფოტოგრაფიის განვითარებას.

3. ფოტოკონკურსის ილო - 2025 თემა

- ძირითადი ფოტოკონკურსის თემა არის „პროფესია პორტრეტში“ - ფოტოპორტრეტებით პროფესიის შინაარსის გადმოცემა, როგორც ინდივიდუალური პორტრეტები, ისე გარემოსთან (სამუშაო სივრცესთან) დაკავშირებული კომპოზიციები, სადაც ჩანს ადამიანის როლი და საქმიანობა.
- რუბრიკაში „ქალაქის ურბანული რიტმი“ - ურბანული სივრცის სიცოცხლე: ქუჩის სცენები, არქიტექტურა, ტრანსპორტი, ადამიანები ქალაქში. აქცენტი კეთდება ქალაქის ცხოვრებისეულ კადრებზე, რომლებიც ასახავს მოძრაობას ან მარტივ დეტალებში ჩაკარგულ ისტორიებს.
- რუბრიკაში „ტრადიცია ობიექტივში“ უცხო ქვეყნის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ნამუშევრები, სადაც ასახული იქნება ხალხური სამოსი ან დღესასწაული; ეროვნული რიტუალები; ტრადიციული კერძები; არქიტექტურული ელემენტები, რომელიც ტრადიციას ასახავს; ხალხური ხელოვნება ან რეწვა.

4. ფოტოკონკურსის ჩატარების პირობები

4.1 ფოტოკონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ციფრული ფაილები (jpg ფაილში, როგორც დამუშავებული კადრები, ასევე მათი ორიგინალიც, პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით- ჟიურის მოთხოვნის შესაბამისად). ფაილები განაცხადთან ერთად (განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელი იქნება ქუთაისის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ვეისბუქის გვერდიდან უნდა გამოიგზავნოს მისამართზე: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი #3, I სართული, მერიის კანცელარია ან ხელმოწერილი განაცხადის დასკანერებული ვერსია გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: contact@kutaisi.gov.ge განაცხადში ასევე მითითებული უნდა იყოს ფოტოკონკურსის რომელი სექციისთვის არის განკუთვნილი ფოტოები, ძირითად თემატიკაში „პროფესია პორტრეტში“, თუ რუბრიკებში „ქალაქის ურბანული რიტმი“ და „ტრადიცია ობიექტივში“.

4.2 ფოტოკონკურსში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფოტოები სხვადასხვა ჟანრში (პეიზაჟი, პორტრეტი, ჟანრული ფოტოგრაფია, ფოტორეპორტაჟი, კოლაჟი). კონკურსანტებმა უნდა მიუთითონ კონკურსის რომელ სექციაში სურთ მონაწილეობის მიღება (ძირითადი კონკურსი თუ რუბრიკები).

4.3 ერთი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 ფოტოს.

4.4 ფოტოკონკურსში წარმოდგენილი ფოტოების საავტორო უფლება უნდა ეკუთვნოდეს იმ პიროვნებას, ვისი სახელითაც წარდგენილია ნამუშევარი კონკურსში მონაწილეობისთვის.

4.5 ფოტოკონკურსი ცხადდება ერთ ტურად. სამუშაო ენა ქართული.

4.6 გამოსაგზავნი ფაილის მოცულობა - 20x30 სმ, 300 dpi.

4.7 ჟიურის აქვს უფლება ფაილები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებში მითითებულ ტექნიკურ პარამეტრებს, არ განიხილოს კონკურსში მონაწილეობისთვის.

4.8 ფოტოკონკურსის გამარჯვებულები სპეციალურ შეტყობინებას მიიღებენ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4.9 ფოტოკონკურსის ორგანიზატორებისგან შეტყობინებას მიიღებენ ასევე კონკურსის ის მონაწილეებიც, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ, მაგრამ რომელთა ნამუშევრები ჟიურის გადაწყვეტილებით საერთო გამოფენაში იქნება წარმოდგენილი.

4.10 ფოტოკონკურსის ფარგლებში დაჯილდოების დღეს გაიმართება ფოტოგამოფენა, სადაც გამოიფინება კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები და საუკეთესო ფოტოები.

4.11 გამოფენისთვის შერჩეული ფოტოების დაბეჭდვას ფოტოკონკურსში შემოსული ელექტრონული ფაილების საფუძველზე, უზრუნველყოფს კონკურსის ორგანიზატორი.

4.12 გამოფენაზე გამოიფინება არაუმეტეს 50 ნამუშევარი.

5. ფოტოკონკურსის ჟიური

5.1 ფოტოკონკურსის ჟიური დაკომპლექტდება ფოტოგრაფიის პროფესიონალებისგან - ფოტოგრაფებისგან კულტურის სფეროს წარმომადგენლებისგან (მხატვარი, კინომცოდნე) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან. ჟიურის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი/მერის მოვალეობის შემსრულებელი ბრძანებით.

6 შეფასების კრიტერიუმები

6.1 ფოტოკონკურსში წარმოდგენილი ნამუშევრების შეფასებას ახდენს ჟიური. გამარჯვებულების გამოვლენისას ჟიური იხელმძღვანელებს საკონკურსო ნამუშევრის მხატვრული ანუ ფოტოგრაფიული ღირებულებით და კონკურსის თემასთან ნამუშევრის შესაბამისობის ხარისხით.

6.2 ასევე გათვალისწინებული იქნება:

- თემატური შესაბამისობა;

- კადრის კომპოზიცია;

- ნამუშევრების შესრულების ტექნიკური დონე და მხატვრული გადაწყვეტა;

- კრეატიულობა და ორიგინალურობა;

- განსხვავებული ხედვა/მესიჯი;

- კონკურსში წარმოდგენილი ფაილის მინიმალური ტექნიკური ანუ კომპიუტერული დამუშავების ხარისხი;

6.3 შეფასება მოხდება 10 ბალანის სისტემით;

7. ფოტოკონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი

7.1 ფოტოკონკურსი გამოცხადდება: 2025 წლის 2 ოქტომბრიდან

7.2 საკონკურსო ნამუშევრები მიიღება: 2025 წლის 2 ოქტომბრიდან 2025 წლის 25 ოქტომბრამდე

7.3 დაჯილდოება: 2025 წლის 4 ნოემბერი

8. დაჯილდოება

ძირითადი კონკურსი: „პროფესია პორტრეტში“

პირველი პრემია - 800 ლარი

მეორე პრემია - 600 ლარი

მესამე პრემია - 400 ლარი

რუბრიკა „ქალაქის ურბანული რიტმი“

პირველი პრემია - 800 ლარი

მეორე პრემია - 600 ლარი

მესამე პრემია - 400 ლარი

- ფულადი პრემია გაიცემა საშემოსავლოსა და საპენსიო გადასახადების გარეშე.

რუბრიკა „ტრადიცია ობიექტივში“

პირველი ადგილი - დიპლომი „საუკეთესო ნამუშევრისთვის“

მეორე ადგილი - დიპლომი „ფოტოგრაფიული ოსტატობისთვის“

მესამე ადგილი - დიპლომი „თემის ორიგინალური გადაწყვეტისთვის“

8.1 ფოტოკონკურსში გამარჯვებულებს ფულად პრემიებთან ერთად გადაეცემათ:

I ადგილის პრიზი (ფოტოაპარატის გამოსახულებიანი მინი-ქანდაკება). ძირითადი კონკურსი: „პროფესია პორტრეტში“ და რუბრიკა „ქალაქის ურბანული რიტმი“.

II ადგილის პრიზი (ილოს გამოსახულებიანი მინი-ქანდაკება). ძირითადი კონკურსი: „პროფესია პორტრეტში“ და რუბრიკა „ქალაქის ურბანული რიტმი“.

III ადგილის პრიზი (ილოს გამოსახულებიანი მინი-ქანდაკება). ძირითადი კონკურსი: „პროფესია პორტრეტში“ და რუბრიკა „ქალაქის ურბანული რიტმი“.

- ყველა ავტორი, რომლის ნამუშევარიც შევა გამოფენაში, მიიღებს სიგელს მონაწილეობის დასტურად, დიპლომები გადაეცემათ პირადად გამოფენის გახსნის დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სიგელი გადაეგზავნებათ ელექტრონული ფოსტით.

9. ფოტოკონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები

9.1 პრემირებული ნამუშევრები, ისევე როგორც სხვა, არაპრემირებული ფოტოები, რომლებიც გამოფენისთვის დაიბეჭდება, გადადის კონკურსის ორგანიზატორის საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

9.2 ფოტოკონკურსის შედეგები გამოცხადდება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზდობის საქმეთა სამსახურის ფეისბუქ გვერდზე.

9.3 ფოტოკონკურსში წარმოდგენილი მასალის (ციფრული ფაილის) ტექნიკურ გამართულობაზე პასუხს აგებს წარმომდგენი/კონკურსში მონაწილე.

10. დროებითი კომისიის მუშაობის წესი

10.1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

10.2 დროებითი კომისიის წევრს არ აქვს ფოტოკონკურსში მონაწილეობის უფლება.

10.3 გამარჯვებული გამოვლინდება კენჭისყრის გზით.

10.4. გამარჯვებულად ცხადდება ის ნამუშევარი, რომელიც მიიღებს ხმების უმრავლესობას.

10.5. თუ ორმა ან მეტმა საკონკურსო ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10.6 კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

10.7 დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ქალაქ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი